დიდი პერსპექტივების წინაშე

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 12 სექტემბერი.

“დინამო” (თბილისი) - “დინამო” (მოსკოვი) 2:1 (2:0).

თბილისი: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, რეხვიაშვილი, ზეინკლიშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, იამანიძე, დათუნაშვილი, ბარქაია, მეტრეველი, მესხი.

მოსკოვი: იაშინი, კესარევი, მუდრიკი, გლოტოვი (დანილოვი), ანიჩკინი, ცარევი, ჩისლენკო, მასლოვი, ვშივცევი, ბობკოვი, ფადეევი.

მსაჯი: ი. ლიტვინასი (ვილნიუსი).

სსრ კავშირის ჩემპიონატების ხანგრძლივ ისტორიაში თბილისის “დინამოს” არ ჰყოლია ისეთი რთული და მძიმე მოწინააღმდეგე, როგორიც მოსკოვის “დინამოა”. როგორ ფორმაშიც არ უნდა იყოს ეს გუნდი, რა კრიზისსაც არ უნდა განიცდიდეს იგი, თბილისელებთან შეხვედრებში მისი პოტენციური შესაძლებლობანი ყოველთვის მაქსიმუმის დონეზეა.

და მით უფრო საპასუხისმგებლო იყო გუშინდელი მატჩი მოწინააღმდეგესთან. ახლა, როცა თბილისელთა წინაშე მთელი სიცხადით დგას ძნელი, მაგრამ ნათელი პრობლემა ოქროს მედლებისთვის საბრძოლველად, აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა მოსკოველ თანაკლუბელთა დამარცხება. ქულები - ეს თავისთავად, მაგრამ საჭირო იყო კიდევ ამ თავისებური ფსიქოლოგიური ზღუდის დაძლევა, რწმენა საკუთარ ძალებში, რათა 1964 წელი იქცეს უმაღლესი საფეხბურთო ტიტულის დაპყრობის წლად.

თბილისელთა მცველებმა კარგად ამოხსნეს მოწინააღმდეგის თავდამსხმელთა გეგმა და მათი თავისუფალი მოქმედების საშუალება მინიმუმამდე იქნა დაყვანილი. საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვა რეხვიაშვილმა, რომელმაც გამოცდილი მებრძოლის ზეინკლიშვილის ძალზე ყურადღებიანი და კვალიფიციური მხარდაჭერით კარგად გაართვა თავი ბრძოლას საჯარიმო მოედნის ცენტრში. მინდვრის შუაგულში შესანიშნავად ითამაშა გ. სიჭინავამ.

უკიდურესად მაღალი ტემპი არ დამცხრალა არც ერთი წუთით მთელი პირველი ტაიმის მანძილზე და ამ სისწრაფეში შესამჩნევი იყო, რომ თბილისელები უკეთ ფლობდნენ ბურთს, მეტ კონტროლს უწევდნენ მას ინდივიდუალური ბრძოლის წარმოებისას.

ანგარიში 26-ე წუთზე იქნა გახსნილი. მოსკოველთა მცველების ტაქტიკური განლაგება წამით დაირღვა, მესხი გაექცა კესარევს და წინ გადასცა ბურთი მეტრეველს. აქ, მუდრიკთან და იაშინთან შეტაკებისას საჭირო იყო ბურთის უაღრესად ზუსტი, იუველირული დამუშავება ხელსაყრელი მომენტის გამოსაყენებლად და მეტრეველმა თავისი სოლო უმაღლესი ოსტატობით შეასრულა. მან ბურთი შეუცდომელი დარტყმით გაგზავნა შორ კუთხეში - 1:0.

38-ე წუთზე მეტრეველმა მარჯვენა ფლანგიდან მოაწოდა კუთხური. მესხმა ისეთი სიძლიერით დაარტყა თავით კარში, რომ იაშინს ხელიდან გაუვარდა ბურთი და დათუნაშვილმა ზედ ხაზზე მიუსწრო მას - 2:0.

გამარჯვების სრული გარანტიის შექმნა შეიძლებოდა 44-ე წუთზე, მაგრამ იაშინთან პირისპირ დარჩენილმა დათუნაშვილმა ვერ შეძლო ასპროცენტიანი შესაძლებლობის გამოყენება.

და მაინც 2:0 საკმაო უპირატესობაა დარჩენილი 45 წუთისათვის, ამიტომ თბილისელებმა შეანელეს ტემპი, გადაიტანეს თამაში მინდვრის ცენტრში და აიძულეს სტუმრები ემოქმედათ კარიდან დიდი მოშორებით. მატჩის შედეგს თითქოს წერტილი უნდა დასმოდა, მაგრამ 39-ე წუთზე ვშივცევმა ისარგებლა მოწინააღმდეგის დაცვისა და მეკარის შეუთანხმებლობით და გაიტანა ერთი საპასუხო გოლი.

თბილისელებმა მოიპოვეს ძალზე დიდმნიშვნელოვანი გამარჯვება - 2:1.

ბ. ქორქია.

“ლელო”, 13 სექტემბერი, 1964 წ.